

# ბარინა და სოკრატისი... «ოფსაიდში»

შეადგინეთ მსოფლიოს 41, ზუსტად 41 საუკეთესო ფეხბურთელის სია, იმდენისა, რამდენიც ჟურნალმა „4-2-4“-მ გამოაქვეყნა და შეადარეთ ერთმანეთს. საინტერესოა, რა ბანსხვავებას მონახავთ, 306 უფრო ჩახედული და ობიექტური სახეები — თქვენი თუ ბრიტანელი ფანატები?

ინგლისში საკმაო პოპულარობით სარგებლობს საფეხბურთო ჟურნალი „4-2-4“. იგი ხანაძი უფრო გულშემატკვართა საინტერესო რეფერენდუმებს მართავს ხოლმე, შეკითხვები ათასგვარია — რეტროსპექტიულიც და თანამედროვეც, თეორიულიც და პრაქტიკულიც, სერიოზულიც და სალალობოც, მათში მონაწილეობის უფლება აქვს ყველას, ვინც საამისოდ მოიცილს — უმაღლესი ლიგის კლუბის მწვრთნელსაც და გუშინდელ ლამასაც, ქალსაც და კაცსაც, მცოდნესაც და პროფანსაც ყველას.

ჟურნალმა ერთ-ერთი ასეთი ანკეტა ამას წინათ შესთავაზა ფეხბურთის მოყვარულებს. რეფერენდუმის მონაწილეებს უნდა დაესახელებინათ „მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი“, ხმათა უმრავლესობით გამოეყვინათ დიდი ფეხბურთის უმაღლესი საერთაშორისო ელიტა, ისინი, ვინც თავისი კვალი დააშენა ამ თამაშის განვითარებას, მის ისტორიას, ტექნიკას, ტაქტიკას.


ამგვარი რეფერენდუმები თავისთავად საინტერესოა და სახალისოც, იგი შეუზღუდავი ფანტაზიის ვრცელ პერსპექტივებს ქმნის, გვიხსნის წარსულს, ახალისებს და ამრავალფეროვნებს მას, თუმცა ყველაფერი ეს ზემოაღნიშნული ჟურნალის ბირადი ორიგინალური გამოგონება და პრიორიტეტი სულაც არ გახლავთ, ამგვარი შეკითხვებით სხვებიც მიმართავენ ხოლმე დროდადრო მკითხველებს და, ალბათ, არც მომავალში დააკლებენ ხელს, გულშემატკვრებელნი ხალხით მონაწილეობენ მასში. ყველას საკუთარი მოსაზრება გააჩნია, აქვს თავისი ბავშვობის მოგონებები და სიმბოლოები, ხშირად — ახირებებიც, მიკროფობები, თუნდაც თავისებური ნოსტალგია ან ძველსძველი პრინციპი: ვა, გახსოვთ ჩვენს დროს რა კარგი იყო?..

აქ, ბევრიც რომ ეცადო, ვერაფერს გახდები და სრულ ჭეშმარიტებას ვერ დაადგენ. ასე ჰყავთ ადამიანებს თავიანთთვის გამოჩენილი მწერლები, მსახიობები, მხატვრები, კომპოზიტორები, პოეტები, მომღერლები, სხვანი და სხვანი, მაგრამ ამ მიკროფობასთან და სუბიექტურობასთან ერთად მუდამ იყო, არის და იქნება მარადიული ფასეულობანი, წარუშლელი პიროვნებანი, არსებობს კლასიკა და, როგორც ვინდა იყო გატაცებული თანამედროვე როკ-მუსიკით, არ შეიძლება განუდგებოთ პოპულარულ, მოცარტს, შოპენს, ბახს, არ შეიძლება მივიწყების ფერფლს მისცეოთ პომპროსი, რუსთაველი, დანტი, შექსპირი, ბაირონი, ბუქინი, გალაკტიონი. ეს საუკუნოვანი, მუდამ ცოცხალი კლასიკა, კლასიკა კი უკვდავია. გაგვრძელდა აშკარად გაგვრძელდა „უცხო“ საუბარი, ამიტომაც დავუბრუნდეთ ჩვენს თემს და ჟურნალ „4-2-4“-ის რეფერენდუმის განხილვას, ვინძღო მან და ანტიტრენის ჩვენს მკითხველს.

წეს ასე, ინგლისური ჟურნალის ანკეტის მკითხველთა რეესტრი ასეთია:

1. პედე	ბრაზილია	510 ხმა
2. იოჰან კრუფი	ჰოლანდია	287

3. დიეგო მარადონა	არგენტინა	256	25. ოურჯენ კლინსმანი	გერმანია	28
4. ჯორჯ ბესტი	ჩრ. ირლანდია	253	26. კევინ კოჯანი	ინგლისი	27
5. მიშელ პლატინი	საფრანგეთი	199	27. ლაიფ ბრეიდი	ირლანდია	27
6. კენი დალგლიში	შოტლანდია	135	28. რუდოლფ ფულიტი	ჰოლანდია	27
7. ფრანც ბეკენბაუერი	გერმანია	114	29. ბრაიან რობსონი	ინგლისი	22
8. გლენ ჰოდლი	ინგლისი	105	30. სტენლი მეტელუზი	ინგლისი	22
9. პოლ გასკოინი	ინგლისი	88	31. დენის ლოუ	შოტლანდია	21
10. ზობი ჩარლტონი	ინგლისი	87	32. გიორგე ჰაჭი	რუმინეთი	19



მარცხნიდან: რაიმონდ კოპა, ალფრედო დი სტეფანო, ფერანს კუშპაში.

11. ბობი მური	ინგლისი	80	33. ჯიმი გრეისი	ინგლისი	17
12. მარკო ვან ბასტენი	ჰოლანდია	65	34. იან რაში	უელსი	17
13. ერეკ კანტონა	საფრანგეთი	58	35. ნრისტო სტოიჩკოვი	ბულგარეთი	17
14. ალან შირერი	ინგლისი	49	36. ფრანკო ბარეზი	იტალია	17
15. ზიკო	ბრაზილია	46	37. მარკ ჰიუდი	უელსი	16
16. ალფრედო დი სტეფანო	ესპანეთი	44	38. კრის უოლდი	ინგლისი	16
17. პიტერ ბირდლი	ინგლისი	42	39. ალან ჰანსენი	შოტლანდია	16
18. პაოლო მალდინი	იტალია	41	40. გორდონ ბენქსი	ინგლისი	16
19. რობერტო ბაჯო	იტალია	39	41. პიტერ ლორმერი	შოტლანდია	16
20. მეტელუ ლი ტარე	ინგლისი	33	სია აქ წყდება. № 41 ფეხბურთელი „შოტლანდიელი პიტერ ლორმერია, ხოლო დანარჩენები, ვინც 16 ხმაზე ნაკლები მიიღო, რედაქციამ, ეტყობა, „ნაყარწყურად“ მიიჩნია და საჭიროდ არ ჩათვალა მათი რეესტრში შეყვანა. ამ „ნაყარწყურში“ კი ბევრი ისეთი ავტორიტეტის და პოპულარობის მონათამე მოხვდა, რომ დიდ-		
21. ეისებიო	პორტუგალია	33			
22. ჰარი ლინეკერი	ინგლისი	32			
23. ფერენც პუშკაში	უნგრეთი	30			
24. რომარო	ბრაზილია	29			

ბულთა სიდიან მათი ამოღება და იგნორირება უბრალოდ, უსამართლოდ და უმეტრად მიგვაჩნია, ამიტომაც მოდი, ჩვენ მიხედვით დავტოვოთ მათ უფურცლად, მოკრძალებული ხმა შევაწიოთ დაჩაგრულებს. პირველი, რაც ყურადღებას იპყრობს ჟურნალის მკითხველთა ზემოხსენებულ ანკეტაში, ისაა, რომ მათ ნამეტნავად მოკრძალებული „პატრიოტიზმი“ გამოუჩენიათ და აქცენტები წმინდა ბრიტანულ ფეხბურთე გაუმახვილებიათ. ამას ელემენტარული სტატისტიკა ადასტურებს: 41 ფეხბურთელიდან 20 ბრიტანელია — ინგლისელი, შოტლანდიელი, უელსელი ან ჩრდილოეთ ირლანდიელი, ე. ი. მსოფლიოს საფეხბურთო ელიტის ნახევარი თურმე დიდი ბრიტანეთიდან ყოფილა, ზუსტად ნახევარი, ეს კი სიმართლეს არამც და არამც არ შეეფერება. ასეთი პროპორცია ნორმალურად შესაძლოა საუკუნის დასაწყისისთვის მიგვეჩნია, მაგრამ ფეხბურთის მივესს გლობალურ ისტორიაში ასეთი მოზრდილი ლუკმა ბრიტანელებს ნამდვილად არ ერგებათ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ინგლისი მხოლოდ ერთხელ, სულ ერთხელ იყო მსოფლიო ჩემპიონი, 1966 წელს, ეს არის და ეს, ბრაზილია კი ოთხჯერ გახლდათ მსოფლიო ჩემპიონი და ამ შესანიშნავი საფეხბურთო ქვეყნის ტალანტებიდან 41 კაცში სულ სამი პიროვნებაა მოხსენიებული, სამად სამი და ამ სამშიც კი ვერ ვხედავთ მანუელ ფრანსისკო დოს სანტოსს, სახელგანთქმულ გარინას, რომელმაც ოდესღაც ნამდვილი გადარჩალება მოახდინა საერთაშორისო ფეხბურთში და საყოველთაო დიდებაც მოიხვეჭა. ვის არ ნახავთ ბრიტანელთა ამ სიაში ჰოდლს, შირერს, ტისეს, ბრეიდს, რაშს, ჰიუზს, ლორმერს... აი, გარინას კი, თვით ლეგენდარულ გარინას — ვერა. ცხადია და აშკარაა — ბრიტანელმა გულშემატკვრებელმა თანთან მოკრძალებულ პატრიოტულ ამბიციებს შესწირეს ნაღდი ჭეშმარიტების პრინციპები და არად ჩაუდგეს „დანარჩენი მსოფლიოს“ უდიდესი ვარსკვლავები.

არადა, გეკითხებით, ნორმალურია გარინას არ მოიხსენიო მსოფლიოს 41 საუკეთესო ფეხბურთელს შორის? ინგლისელ გულშემატკვართა დაუფარავი საფეხბურთო შოვინიზმის და მიკროფობიის გამო ოთხ ათეულ გამოჩენილს შორის ვერ მოხვდნენ ისეთი საფეხბურთო ტიტანები, როგორც ჰამონა და კლანჩიკა, დიდი და ლეონინდასი, იაშინი და სოკრატისი, ანდრადე და ანუელილი, ჰენტო და გერსონი, ჯალმა სანტოსი და კოპა, სივორი და სუარესი, სკიაფინი და კუბილა და სხვანი და სხვანი მრავალნი, დიდი ფეხბურთის დიდებული ვარსკვლავები, უმაღლესთაგან უმაღლესნი.

ამიტომაც ვინდა მკითხველებს ასეთი ანკეტა შევთავაზოთ: შეადგინეთ მსოფლიოს 41, ზუსტად 41 საუკეთესო ფეხბურთელის სია, იმდენისა, რამდენიც ჟურნალმა „4-2-4“-მა გამოაქვეყნა და შეადარეთ ერთმანეთს. საინტერესოა, რა განსხვავებას მონახავთ, ვინ უფრო ნახედილი და ობიექტურია საქმეში — თქვენ თუ ბრიტანელი ფანატები?

## ფეხბურთი

### უცხოეთის აბაზაი

#### ხორვატია

#### ხიზათის ვინაჟა

ბალკანეთში მდგომარეობის უკიდურესად დაბალმობასთან დაკავშირებით ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირი საგანგებოდ განიხილავს ხორვატიის გუნდების ევროტურნირებში მონაწილეობის საკითხს. პრაბლმა წამოიჭრა იმასთან დაკავშირებით, რომ გაეროს განზრახული აქვს სენციკებს მიმართოს ხორვატიის მიმართ და თუ ეს მოხდა, უფრავ იძულებული იქნება თავისი ლონისიბები ჩაატაროს, კერძოდ, გარიცხოს ხორვატიის გუნდები „აიდეუკი“ (ჩემპიონთა თასი) და „ოსიეკი“ (უფრავ თასი) გათამაშებდნენ. მათი მეტოქეებია ათენის „პანათინაიკოსი“ და ბრატისლავის „სლოვანი“. ხორვატიელებს პირველი მატჩები სტუმრად აქვთ, ამის თაობაზე ლაპარაკი არაა, მაგრამ საბასუხო შეხვედრებზე არსებობს ორი მოსაზრება: პირველი — გადაიტანონ ისინი ხორვატიის საზღვრებს გარეთ და მეორე — გაირიცხოს ორივე გუნდი ტურნირებიდან.

საქმის ისიც ართულებს, რომ ხორვატიის ეროვნული ჩემპიონატის დაწყება გაურკვეველი დროით გადაიდო.

### ს. ჩერჩესოვი — მსოფლიოს ნაპრკვი

30 აგვისტოს ტოკიოში ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით გაიმართება „მსოფლიოს ვარსკვლავთა“ საქველმოქმედო მატჩი, რომლის მთელი შემოსავალი გადაეცემა მიწისძვრისაგან დაზარალებულთა ფონდს. ამ მატჩში მონაწილეობისათვის მიიწვიეს რუსეთის ნაკრების მესამე სტანისლავ ჩერჩესოვი.

● ცნობილმა ფრანგმა ფეხბურთელმა ვან-ბიერმა ამას წინათ ოციციადურად განაცხადა, რომ მარსელის „ოლიმპიკს“ გამგებელი ბერნარ ტაბი ქრთამით უიღულოდ მნიშვნელოვან მატჩებს ამ განცხადებამ დიდი მიიქმა-მოთქმა გამოიწვია, ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირმა კატეგორიულად მოითხოვა ე. პაპენი 20 აგვისტომდე გამოეცხადებინა სადისკიპლინო კომიტეტში, რის შემდეგაც მიიღებენ შესაფერის გადაწყვეტილებას ამ საკითხზე.

● მსპანელმა ფეხბურთელმა ემილიო ბუტრაგენიომ, რომელიც ათ წელიწადზე მეტ ხანს გამოდიოდა მადრიდის „რეალში“, ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი მექსიკის პირველი დივიზიონის კლუბ „ატლანტიკოს სელაიდთან“. 32 წლის ბუტრაგენიო მიიღო 1 მილიონ დოლარის, სავსოვრებელ ბინას და ავტომანქანას.

● არბენტინის ნაკრების მთავარ მწვრთნელს დანიელ პასარელას განზრახული აქვს ეროვნულ გუნდში მიიწვიოს დიეგო მარადონა და კლაუდიო კანჯა. და პასარელას მანამდე არაერთხელ უთქვამს, რომ არც მარადონას და არც კანჯას არ გააკრებს ნაკრებს, ვინაიდან ისინი მხილებული არიან აკრძალული პრეტარატის ხმარებაში, მაგრამ არგენტინელთა ბოლო ხანების წარუმატებლობამ მწვრთნელი აიძულა კვლავ მიემართა ამ ორი ფეხბურთელისათვის. შეგახსენებთ, რომ მარადონა ახლა 34 წლისაა, ხოლო კანჯა — 29-ის. ორივენი ერთ კლუბში ბუენოს-აირესის „ბოკა-სენიორსში“ გამოდიან.

● ინგლისის „ნიუკასლმა“, რომელმაც ადრე შეიძინა ცნობილი ფეხბურთელი ლეს ფერდინანდი და დავიდ ჰინოლა, ახლა „რედინგისგან“ 2,5 მილიონ დოლარად იყიდა მეკარე შაკ ჰესლომი.

● იოჰანესბურგის „ტემპისს“ სტადიონზე ერთ-ერთი მატჩის დროს ჩამოი-

წარა ტრიბუნა, 15 მაყურებელი მიიძე დაშავდა და საავადმყოფოში მოხვდა.

● ტომბიში 54 ათასი მაყურებელი დაესწრო იაპონიისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდების ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს. გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა — 5:1, მათ რიგებში გამოდიოდნენ მსოფლიო ჩემპიონები ვალმარი, ფორსინი, დუნეა, ზინიო, ლეონარდო, რონალდო და სხვანი.

● შემდეგ ბრაზილიელები სამხრეთ კორეაში ამ ქვეყნის ნაკრებს შეხვდნენ. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებს ამჯერად გაუჭირდათ, მათ მხოლოდ მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს — 1:0.

● ბელბინის ნაკრების ამჟამინდელი

ლშემატკვრებისა და ოფიციალური პირების აქტიური პროტესტის მიუხედავად, უარი თქვა „სევილიას“ და „სელტას“ ატლანტიკაზე და ორივე გუნდი მესამე დივიზიონში გადაიყვანა.

● ბმრმანის საფეხბურთო კავშირს დიდი სურვილი აქვს უმასპინძლოს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატს. აქ საამისოდ უკვე შეზადებინა კიდევ კერძოდ, გამოაცხადეს იმ ქალაქების სია, სადაც შესაძლოა მოეწიოს მატჩები: ბრემენი, დორტმუნდი, დუსელდორფი, ფრანკფურტი, გელზენკირხენი, ჰამბურგი, კაიფერსლაუტერნი, კარლსრუე, კოლნი, მიუნხენი, ლეიპციგენი, მენჩენგლადანი, როსტოკი, შტუტგარტი.

● იპკონიისა და კოსტარის ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა იაპონიის ქალაქ კოტოში მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა — 3:0.

## ფეხბურთი

### ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ამას წინათ, თუ განსოვთ, მკაცრად გააფრთხილა რუსეთის ფედერაცია იმის გამო, რომ აქ გადაწყვეტილი ჰქონდათ გადაეთამაშებინათ მსაქის შეცდომის გამო გამოტყატებული უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი მატჩი. შემდგომში ასეთივე ამავე მოხდა გერმანიაშიც და პორტუგალიაშიც, აქაც მსაქთა შეცდომების გამო გააუქმეს ორი შეხვედრის შედეგად: პორტუგალიაში „სპორტივო“, „ბენფიკა“ და გერმანიაში „ლაიფციგი“. „აქემნიცი“. ფიჯამ ამ ქვეყნების ფედერაციებს შეახსენა, რომ „მსაქთა შეცდომები არ შეიძლება მატჩის შედეგის გაუქმების საფუძველი გახდეს“, გერმანელებსაც და პორტუგალიელებსაც მოუთხოვეს ადადინონ გაუქმებულ შეხვედრათა შედეგები და, რაც მთავარია გააფრთხილეს „მსაქის ამის გამეორების შემთხვევაში ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გერმანიას და პორტუგალიას შესაძლოა ჩამოართვას 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება“.

● სან-პაულუს შტატის ჩემპიონის გამოსავლენად გაიმართა ორი მატჩი „კორინტიანას“ და „პალმეირასს“ შორის. პირვე-



# კრივის პარადოქსები

## ანუ სპორტი, რომელიც სიცოცხლეს უმჯობეს ყველას

(პირველი გვერდიდან)

კლასიკური ტიპი. სპორტის ინტელექტუალური და ამერიკული იმპერიატორული უწოდებდნენ არასტანდარტულ, უხერხულ მეტოქეს, რომელსაც ვერაფრით ვერ მოუღებდა, ვინაიდან ბრძოლა არ მიჰყავს კლასიკური კანონებით. სპორტი ამხსნევს სხვის ტექნიკას, თვითონ კი, ამ დროს, ფაქტობრივად არაფერს ქმნის. ჩვენში ასეთ მოკრივეს ზოგჯერ უხერხულს, ზოგჯერ „ჩინურს“ უწოდებენ. ამერიკასა და ინგლისში — სპორტის.

ყველა გამოჩენილ მოკრივეს, ადრე თუ გვიან, უხდება ამ ტიპის მეტოქესთან შეხვედრა. მათი დამარცხება ძნელია, გაცილებით უფრო ძნელი, ვიდრე ჩვეულებრივი ტიტულოვანი მოკრივისა.

1987 წელს მაიკ ტაისონი მსოფლიო ჩემპიონი გახდა ვეს-ს ვერსიით. მერე მას შესთავაზეს გამართონებელი ბრძოლები ჩაბრუნება, რომლის შედეგად მძიმე წონაში სამის ნაცვლად გამოვლინდებოდა ერთი ჩემპიონი, ასე ვთქვათ, აბსოლუტური. მაშინ ტაისონის მეტოქის წიგნის სიძლიერე შესწავლა უნდა მოეწია ნაკლებად პირველ, უკიდურეს შემთხვევაში, მეორე რაუნდში.

მაგრამ „ძველების სპეციალისტმა“ პირველი რაუნდი შეცვალა თავისი ტაქტიკა და ტაისონიც აძულა იგივე გაეკეთებინა. სიძლიერე განხრავდა მარტვი იყო: არ მიეცა მეტოქისათვის საყვარელი დარტყმის შესრულების საშუალება, თვითონ კი უარესად აგრესიული ყოფილა. ახალგაზრდა ტაისონმა არ იცოდა რა მოემოქმედა: როგორც კი წამოიწყებდა შეტევას, სმითი ჩაეხვედა კარგ მგობარვით და ხელეხს უბორკავდა. ეს შეხვედრა მზარ შემთხვევაში მოქიდავთა ორთაბრძოლას უფრო ჰგავდა. მაყურებელი, ცხადია, იგინებოდა, უსტვენდა, ამტკრევდა სკამებს და ახით გამოხატავდა თავის დაოკიდებულებას „ძველების სპეციალისტის“ მსამართლად. დროდადრო სმითი საქაოლ სახიფათო კონტრშეტევებს მიმართავდა, რასაც კიდევ უფრო მეტად გამოჰყავდა წონასწორობიდან ტაისონი. ტაისონმა ბოლოს


და ბოლოს მოიგო ბრძოლა, მაგრამ ისე არა, როგორც ეს მას სურდა, ლამაზად, დამაჯერებლად. აბსოლუტური ჩემპიონის სტილით. ამ გამარჯვების შემდეგ იგი დიდხანს იმართლებდა თავს გულშემატკივრებისა და ჟურნალისტების წინაშე.

არადა, ტაისონის მომდევნო მეტოქე — იემ-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი ტონი ტაკერიც ამ ტიპის მოწინააღმდეგე იყო. ტაისონმა ეს შეხვედრაც მოიგო, „გაერთიანა სამი ვერსია“ თავის სასარგებლოდ, გახდა აბსოლუტური ჩემპიონი. მაგრამ მასაც და გულშემატკივრებსაც რაღაც

დაუქაყოფილებლობის გრძნობა დარჩა. ტაკერი სპორტის სტილის ერთგული იყო სხვა ბრძოლებშიც. 1993 წლის 8 მაის იგი შეხვდა ვეს-ს ვერსიის ახალ ჩემპიონს ლენოქს ლუისსა და მასაც გაუმწარა ცხოვრება. ჩემპიონმა ბრძოლა მოიგო, მაგრამ დარბაზს სტოვებდა, როგორც შეურაცხყოფილი, დათრგუნული კაცი.

სპორტის კრებითი სახის შექმნა ძნელია, უფრო მეტად — შეუძლებელია. ყოველი მათგანი სიცოცხლეს უმწარებს მეტოქის თავისებურად. ჩვეულებრივ ისინი ბევრს მოძრაობენ, ყველაფერს არასტანდარტულად აკეთებენ, ეკიდებიან მეტოქეს, ხელეხს ხევენ, უსისტემოდ ურტყამენ, დარტყმებს არ ამზადებენ. მათ შორის ბევრი ცაცია. ეს კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას, ვინაიდან ცაცის ყველაფერი ეხერხება... შემრუნებულად.

არ გვგონოთ სპორტი მუდამ ჩრდილში იყოს. ეს კი არა, მათ შორის ჩემპიონებიც ბლომად არიან. ჰენრი მასკე გდრ-დან, მაგალითად, სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი იყო, 1989 წელს კი მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა. მერე პროფესიონალურად გადავიდა და ოქროს ქაშირი მოიპოვა ქვემძიმე წონა-



„მკრძლ ქამარი“ — პროფესიონალ მოკრივეთა უმაღლესი ჯილდო. რაი „უზბარ“ ლეონარდი, მის არის ბანად მსოფლიო ჩემპიონი.

ში როგორც სპორტთან შეხვედრის დროს ხდება ხოლმე, ტექნიკური და დახვეწილი ოსტატია ჩაიღოს ულიამში (მეტსახელად „პირნიკი“, რაც მისი ბრძოლის მანერაზე მიგვიანებს) არ ჰგავდა თავის თავს, იმდენად გაღიზიანებული, დაბნეული და გაზაბნეული იყო. მასკემ იმ დღეს დაამტკიცა, რომ სპორტის თავისუფლად შეუძლია იმსხვერპლოს არა მარტო სხვა „ძველების სპეციალისტის“, არამედ უარესად ტექნიკური მოკრივეც. უნივერსალური სპორტი რისხვა ნებისმიერი ტიპის მოკრივისათვის. პურტორიკალი უილფრედო ბენიტესი ნებისმიერი რანგის მოწინააღმდეგე იდობება წარმოვიდგინათ. სხვათა შორის, მისი გვარი შეტანილია გინესის რეკორდების წიგნში, როგორც პროფესიონალის შორის ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონისა. თავისი პირველი ოქროს ქაშირი მან 17 წლისამ მოიპოვა. რინგის გარეთ იგი წმინდა წყლის ბავშვი იყო, რომელიც მთელი დღე სათამაშოებით ერთობოდა, რინგზე კი ვერაფერი უნდებოდა ადამიანს ემსახურებოდა. 1979 წელს მან მთელი 15 რაუნდი წვარს აცვა XX საუკუნის პროფესიული რინგის ყველაზე ტექნიკური და აღიარებული მოკრივე რეი

ლეონარდი. იგი უზუსტესი დარტყმებით იყო ცნობილი, მაგრამ ბენიტესი რაღაც სასწაულით ახერხებდა თავის დაძვრენას. წარმოუდგენელი რეაქცია და დისტანციის განზომა საშუალებას აძლევდა პურტორიკოელს სასწაული მოედინა რინგზე. ერთ-ერთი მწვრთნელის აზრით „მასზე ნადირობისას კაცი შეიძლება ჰკოუზე გადადგეს“.

ლეონარდს, ასე თუ ისე, ბედმა გაუღიმა: ბოლო გონგის ხმამდე 6 წამით ადრე, როგორც იქნა, „დაიჭირა“ მეტოქე და ნაკაუტში გაგზავნა. ამ მომენტს ასეთივე დიდი მოკრივე რობერტო დურანი კი ვერაფრით მიხვდა რა უნდა მოემოქმედა ბენიტესის წინააღმდეგ და რინგიდან დამარცხებული წავიდა. ეს მოხდა 1982 წელს.

და მაინც, როგორ უცნაურადაც უნდა გეჩვენოთ, საუკეთესო სპორტი ის ვისაც არასდროს არ უწოდებენ სპორტის. აქ ერთი ნიუანსია საუარესად: ის ვინც მხოლოდ ხელს უშლის „მუშაობაში“ მეტოქეს და საქაოლ უნარისხოდ აკეთებს თავის საქმეს, ცნობილი ვერასოდეს გახდება. ერთი-ორჯერ შეიძლება გააკვივოს მაყურებელი, მაგრამ ამაზე უფრო შორის ამ ტიპის მოკრივე ვერ წავა. სახელსაც, ბუნებრივად, ვერ მოიხვეჭს. ასეთები იყვნენ, მაგალითად, ტომი ფარი, ჯემის სმითი, ასეთი ტომი ტაკერი. უილფრედო ბენიტესმა კი, პირიქით, უკვდავყო თავისი სახელი მსოფლიო რინგის ისტორიაში, თანაც იმით კი არა, რომ სპორტი იყო, არამედ იმით, რომ არ ჰგავდა არავის.

სპორტი — მისი ვებერთელა ნიჭის ერთი წახნაგი გახლავთ. სპორტის უწოდებდნენ მაშინ, როცა მისი უმარავი ღირსებების ჩამოთვლას იწყებდნენ.

გან ვინმეს უთქვამს ჯეკი ჯონსონზე სპორტი იყო? ასეთ აზრს კრივის ჯეშმარიტი გულშემატკივარი არასდროს გაივლებდა. არადა, მაიკ ტაისონმა პირველად რომ ნახა ტომი ბენიტესი მისი ბრძოლის ფირი, შეჰყვირა თურმე — ამს რას ჰხედავს ჩემი თვალები. ეს არის ჯეკი ჯონსონი? ტაისონმა ვერ გახედა სიტყვა სპორტის წარმოთქმა, და ალბათ მართალი იყო. ჯონსონს არ შეიძლება უწოდო სპორტი. სპორტი სხვისას ამხსნევს, მაგრამ არაფერს არ ქმნის საკუთარს. სპორტი ვერ უკვებს მეტოქეს — საუკეთესო შემთხვევაში იგი თვითონ არ მარცხდება. ჯონსონმა, ისევე როგორც ბენიტესმა ბრძოლის განუმეორებელი სტილი შექმნა. დღემდე არ ყოფილა და არც განმეორდება არასდროს ჯონსონი ან ბენიტესი. სპორტი ერთი კი, მუდამ სპორტი რჩება. სხვათა შორის, ჰენრი მასკესაც უკვე აღარ უწოდებენ სპორტს.

6. სალიბაბაშვილი



**გიორგი (გოგი) გოგლაძე**  
ბიზნესმენი

60-იან წლებში, ვინც მორაგბეთა თამაშს ადევნებდა თვალყურს, კარგად ემახსოვრება გოგი გოგლაძე, შესანიშნავი პიროვნება და სპორტსმენი, თანაგუნდელთა საძილო პარტნიორი. მთელი ათი წლის განმავლობაში თამაშობდა თბილისის „დინამოს“ მორაგბეთა გუნდში, იყო სპორტის ოსტატობა, ამავე საზოგადოების საკაპიტრო საბჭოს პირველობათა სამგზის ჩემპიონი, სსრ კავშირის 1966 წლის ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი, საქართველოს სამგზის ჩემპიონი. რაგბის პარალელურად ავტოსამოძრაო სპორტსაც გაიტაცა და საკაპიტრო პირველობის პრიზიორიც გახდა.

1970 წლიდან, რაგბს აღარ თამაშობდა, მაგრამ სპორტის ამ სახეობის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოედგინა. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო საკულებების კურსდამთავრებული სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობდა, მაგრამ ძირითად საქმიანობას კარგად უხამებდა საზოგადოებრივ — ხშირად ნახევრით მორაგბეთა მაჭტების არბიტრის ამპლუაში, 1972 წლიდან საკაპიტრო კატეგორიის მსახი იყო.

წავადა ჩვენგან შესანიშნავი ადამიანი, კარგი სპეციალისტი, მორაგბეთა დიდი სამძის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, კაცი, რომელიც გამორჩეული სიყვარულით და ერთგულებით ემსახურებოდა ყველა საქმეს, რასაც ხელს მოჰკიდებდა. გ. გოგლაძის ნათელი სიცოცხლე სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

საქართველოს რაგბის კავშირი, პეტარეჩ მორაგბეთა ფედერაცია.

## კრიმინალური ქრონიკა



**ბარნარ ტაპი უარყოფს**  
ის-ის იყო იტალიის პრესაში გამოჩნდა ფრანგი ვებმურთელის უან-პიერ პაპენის განცხადება იმის თაობაზე, რომ მარსელის „ოლიმპიკის“ ხელმძღვანელი ბარნარ ტაპი ქრონით იტყვებდა თამაშებს, რომ საფრანგეთის გაზზეთა „ლე მონდმა“ ახალი ინფორმაცია შესთავაზა მკითხველებს: ვეროპის ქვეყნების თათების მფლობელთა თათის მატჩში 1989 წელს საბერძნეთის აეკსა და „ოლიმპიკის“ შორის ათენში გატარებულმა მსაჯმა პ. კოლმა ხორვატული მოქალაქის ლიუბომირ ბარონის მეშვეობით ქრონითად მორბილი თანხა მიიღო რ. ტაპისაგან. პ. კოლი დღე ბარონი ახლო მგობრები ყოფილან და „ოლიმპიკის“ პრეზიდენტის ამიტომ ენლო ხორვატულს. ყველა ამ ბრალდებას ბ. ტაპი მაინც უარყოფს და სასაცილოდ მიანიჩა ისინი.

**სამეცნიერო „ბაიბრის“ ნინააღმდეგ**  
ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მიუნხენის „ბაიერის“ ნინააღმდეგ საჯარიმო სანქციებს აიკრებს. საქმე ედება იურგან კოლიმანის გადაყვანას ლონდონის „ტოტენჰემიდან“ მიუნხენის ტურში. „ბაიერის“ ხელმძღვანელობამ, თურმე დაარღვია ოფიციალური კანონის ზოგიერთი პუნქტი და ამიტომაც უნდა აგოს პასუხი.

**ფორვარდი დაპაპტიმრავს**  
ამერიკის შვერთებული მტატების ქალაქ რეულს პოლიციამ დააპატიმრა ამ ქვეყნის ერთგული ნაკრების ფორვარდი როი ლესტერი. ფეხბურთელს ბრალად ედება მონანილობა საიუველირო მაღაზიაზე სამი წლის ნინათ მომხდარ მძარცველურ თავდასხმაში. დიდხანს ეძებდნენ ბოროტმოქმედების კვალს და მხოლოდ ახლა მიანგნს, თუმცა თვით რ. ლესტერიც და მისი ვექილე ობტისტურად არიან განწივბილი.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი და სამბოს ფედერაცია ღრმა მწუხარებით თქვენთან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ქართული ჰიდაბის თავგამოღებული პროკარდისტი **ბროსიონ ნუსხალიძე** და სამბოს უცხადებენ განსვენების ოჯახს.

# კროსვორდი



**თარაზულად:** 4. ქალაქი-ქვეყანა, სადაც ჩატარდა ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეები სპორტის სამართის სახეობებში (6-სლოანი); 6. ცნობილი ჩენი ჰოკეისტი-მეკარტი (6); 9. მსოფლიოს ჩემპიონი ქალაქში (7); 11. წინასაშეგობრო თავშეყრა (7); 12. კურორტი თურქეთში, სადაც ხშირად იმართება საერთაშორისო სპორტული შეჯიბრებები (7); 14. ცურვის სტილი (5); 16. შედვი მოთხილამურე, ოლიმპიადის მრავალგზის ჩემპიონი (5); 19. პოპულარული სპორტული თამაში (5); 21. ფრანგი ფეხბურთელი (5); 22. შედვი სპორტში (3); 23. ყოველთა ებრაელთა კომპლექსური შეჯიბრება (9); 24. ჩინელი ჩოგბურთელი (3); 27. სპორტსმენთა მოგზაურობა გარკვეული მარშრუტით (5); 29. შეჯიბრებებზე შემფასებელი

## პროფესიული რინგში

**ალბატი** გახსოვთ, რომ მაიკ ტაისონმა ციხეში ყოფნის დროს ისლამის რელიგია მიიღო. ახლა მას, მუშაობდ ალის მსგავსად, სურვილი აქვს გვარაც შეიცვალოს (160 წელს, როცა ალიმ რომის ოლიმპიადის ოქროს მედალი მოიგო, კასუს მარცხილოუს კლეის გვარსაგებლს ატარებდა). ფიქრობენ, რომ მსოფლიოს ექსტრემიონის ხელახალი ნათლობა პიტერ მაქნილისთან შეხვედრის შემდეგ მოხდება. შეკითხვაზე, აძირებს თუ არა ამ ბრძოლისთვის ტაქტიკის შეცვლას, ტაისონმა განაცხადა, რომ ამ მატჩს მაინც და მაინც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს და ამიტომაც არაფერს არ შეცვლის.

**მზს-ს ვერსიით** მატჩი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ოლივერ მაკოლისა (აშშ) და ფრენკ ბრუნოს შორის (ინგლისი), რომელიც 2 სექტემბერს ლონდონში „უემბლის“ სტადიონზე უნდა შემდგარიყო, აღარ გაიმართება. ბრძოლაზე უარი თქვა მაკოლიმ, რომელიც ბრიტანეთის კრივის საბჭომ 20 ათასი გირვანქა სტერლინგი დააკისრა ჯარიმის სახით, ერთ-ერთ ინტერვიუში მეტოქის უდიერად მოსენებისთვის. „საერთოდ არ ჩავალ ინგლისში, — განაცხადა ოფიციალურად ამერიკელმა, — დეე განდებ ჩემპიონი ბრუნო, თუ ეს მას არ შერცხვება. მე არა მაქვს არავითარი სურვილი ვესტუმრო ინგლისელებს ლონდონში და თანაც 20 ათასი გირვანქა სტერლინგი ჩავუტანო“.

**აშსტრალიელმა** ჯიმი ტანდერმა შეინარჩუნა ჩემპიონის ტიტული მძიმე წონაში მის-ს ვერსიით (კიდევ ერთი ახალი ვერსია განხლავთ). მეშვიდე რაუნდში მან ნაკაუტში გაგზავნა ამერიკელი რეი ენისი. შეხვედრა გამართა კალიფორნიის ქალაქ კოულფელში.

**ინგლისელი** ნაიჯელ ბენი (76,2 კგ) მეცხრედ დაიკავს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ვეს-ს ვერსიით. ეს მოხდება წელის 2 სექტემბერს ამერიკელ სტეფ ლიტლთან შეხვედრაში. ბრძოლა გაიმართება „უემბლის“ იქ, სადაც იმ დღეს მაკოლისა და ბრუნოს ორთაბრძოლა იყო დანიშნული.

**მთავარი რედაქტორი:** თენგიზ ბაჩქალიძე